სსკგ-ის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო იუნესკოს საქმეებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის კომისიის საერთო კრების მუშაობაში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.12.2023. 2023 წლის 22 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ს.ვ. ლავროვის თავმჯდომარეობით გაიმართა რუსეთის ფედერაციის კომისიის მორიგი საერთო კრება იუნესკოს საქმეებთან დაკავშირებით.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის პროფილური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, ფედერაციული სუბიექტების მეთაურებმა, საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა. განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჟურნალისტიკის და სპორტის გამოჩენილი მოღვაწეებმა. კრების მონაწილეთა შორის იყო მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების

თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი.

ს.ვ. ლავროვმა წარმოადგინა მოხსენება, რომელშიც მან დამსწრეებს უამბო რუსეთსა და იუნესკოს შორის თანამშრომლობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, ღონისძიებაზე მოისმინეს რუსეთის განათლების მინისტრის ს.ს. კრავცოვისა და კრების სხვა მონაწილეთა მოხსენებები.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91164/